№ 89
კვირა, 28 აპრილი, 1902 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1902

ივერია

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 89
კვირა, 28 აპრილი, 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, № 21
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ., მეოთხეზედ—5 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1 მაისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია"

ღირს **შვიდ მანეთად** და **ხუთ შაურად** (7 მ. 25 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის" რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа". ტელეფონი № 227.

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსის.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ქრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ქრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა**.

(13—287—13)

„ივერიის" ამხანაგობისაგან

ვისაც ჰსურს ჩაეწეროს „ივერიის" ამხანაგობის წევრად, ვთხოვთ მობრძანდეს დღეს, აპრილის 28, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ქარვასლის გამგე კომისიის კანტორაში, სასახლის ქუჩაზედ. (1—1)

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართული თეატრი

კვირას, 28 აპრილს, 1902 წ.
ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
ვლ. ალ.-მესხიშვილის მონაწილეობით
✦ **დაკლებულის ფასებით** ✦

ურიელ-აკოსტა

ტრაგედია 5 მოქ. გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი კარგარეთელი, სარიძე და სხვ. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, რომანიშვილი და სხვ.

დასაწყისი $8\frac{1}{2}$ საათზედ.

ფასები დაკლებულია.

რეჟისორი ვ. გუნია.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. გძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. 7—$7\frac{1}{2}$ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

გ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე, ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფედოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

გ. გ. მალალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. გ. მალალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.)

ახალი ამბავი

✦ დღეს, 28 აპრილს, მოხდება ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა კრება. კრებამ უნდა განიხილოს ორი საგანი: 1) უმაღლესად ნაბოძებს 40 ათას მანეთის განაწილება და 2) გუბერნიის თავად-აზნაურთა მორიგ კრებების მარტიდგან დეკემბერში გადატანა. კრება ტფილისში მოხდება, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში და დაიწყება დილის 10 საათზედ.

✦ 26 აპრილს ბაქოში მისულა სპარსეთის შაჰი. ბაქოში შაჰი სამ დღეს დაჰყოფს და 30 აპრილს ბალოჯარით საზღვარ-გარეთ გაემართება. შაჰის მისაგებებლად ბაქოში წავიდა კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზე.

✦ დღეს, სამეურნეო ბანკის სადგომში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი), კრება ექნებათ პირველ საარჩევნო ნაწილის ამომრჩევლებს მომავალ არჩევნებზედ მოსალაპარაკებლად და კანდიდატთა სიების შესადგენად.

✦ ორის წლის წინად მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას დაავალა ორის წლის განმავლობაში გადაეხადა საბაღოსნო სასწავლებლის ვალები, გამოეგონა საშუალება მომავალ დეფიციტების დასაფარავად, შეეძინა სკოლისთვის საკუთარი პურის-საცხობი, აბანო და სხვა. ეს ვადა ეხლა გავიდა და ამიტომ მიწათ-მოქმედების მინისტრმა მოჰკითხა სამეურნეო საზოგადოებას, რა-და-რა ცვლილება და გაუმჯობესება მოახდინა მან ხსენებულ სასწავლებელში. ამაზე საზოგადოებამ აცნობა: 1) ამორჩეულ იქმნა საქმის მცოდნე კაცთაგან კომისსია სკოლის საქმის მოსაწყობად; 2) საქმეების გასაუმჯობესებლად დაიხარჯა სულ 12,360 მან. 59 კ.; 3) 10,000 მან. ვალიდგან გასტუმრებულ იქმნა 3,500 მანეთი და ეხლა სკოლას 6,552 მ. ვალი-ღა აქვსო.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობაში 13 საჩივარი შეიტანეს ტფილისის მცხოვრებლებმა უძრავ ქონებაზე დიდ გადასახადის შეწერის შესახებ. ამ საგნის განსახილველად დანიშნულმა კომისიამ გუშინ, 27 აპრილს, ყველა საჩივრები განიხილა და, გარდა საინჟინერიო უწყებისა, უყურადღებოდ სცნო.

✦ როგორც შევიტყეთ, ახალციხის მაზრის მომრიგებელი შუამავალი ბ-ნი ალექსანდრე ყიფშიძე ტფილისის მაზრის მომრიგებელ შუამავლად გადმოჰყავთ.

✦ გუშინ-წინ, 26 აპრილს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ სამეურნეო საზოგადოების ბიუროს სტატისტიკოსად დაამტკიცა ფ. გ. გოგიჩაიშვილი.

✦ პარასკევს, 3 მაისს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზედ, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ აგრონომი ბ-ნი ა. ფირალოვი წაიკითხავს თავის მოხსენებას პეტერბურგში გამართულ შინა-მრეწველობის შესახებ (итоги перваго всероссійскаго съѣзда дѣятелей по кустарной промышленности). ბ-ნი ფირალოვი კავკასიის კომიტეტმა გაგზავნა პეტერბურგს ამ კრებაზედ კავკასიურ.ის განყოფილების მოსაწყობად.

✦ მღვდლის კილურაძის საქმეს, რომელსაც ბლაღოჩინის-მღვდლის ა. მ. ჯაშის მოკვლა ჰბრალდება, ტფილისის სამოსამართლო პალატა განიხილავს ორშაბათს, 29 აპრილს.

✦ 25 აპრილს, ხელოსანთა გამგეობამ ამოარჩია ობოლთა სასამართლოს წევრებად ესტატე მაისურაძე და გეურქ მიკირტუმოვი.

✦ ტფილისის ტრამვაისის დირექციას უკანასკნელი ვადა დღეს, 28 აპრილს, ჰქონდა, რომ წარმოედგინა ელექტრონის ტრამვაის გეგმა. რადგან აქნობამდე არ წარმოუდგენია, ქალაქის გამგეობამ ამ საქმეს ყურადღება მიაქცია და ამის გამო გუშინ ჰქონდა საგანგებო კრება.

✦ გუშინ, 27 აპრილს, ქალაქის საბჭოს დარბაზში კრება ჰქონდათ მოქალაქეთა წარმომადგენელთ. დაესწრო ოთხმოციამდე კაცი. კრებას მოხსენდა შემდეგი: მოქალაქეთ ჰყავთ ასი ამორჩეული ნაფიცი რწმუნებული და ამ რწმუნებულთ თავიანთ შორის უნდა ამოირჩიონ მოქალაქეთა მამასახლისი (староста) და ათი ხარჯის ამკრეფი. წინად ხარჯის ამკრეფთ ჯამაგირი ეძლეოდათ, მაგრამ ეხლა, ახალის ბრძანებით, მათ უსასყიდლოდ უნდა იმსახურონ. რადგანაც ხარჯის ამკრებთ ეს ბრძანება არ მოეწონათ, შვიდმა თავი დაანება. ამ საქმისთვის კრებამ ამოირჩია კომისია 9 კაცისაგან და დაავალა ორის კვირის განმავლობაში გამოიკვლიოს, გამგეობის თანხა

ფელეტონი

უიღბლო-იღბლიანი

(ზღაპარი)

IX*)

დიდხანმა განვლო, საბრალო
რაც რომ სახლიდან წავიდა.
მთელი იმისი მგზავრობა
მორწყული იყო ავითა.
ჯან-ღონით გატეხილია,
გაჰხშირებია ნასერი:
წელთა სვლის, ჟამთა ტრიალის
და ჯავრის გამონაცერი;
ან-კი რა გასაკვირია,
ვაება ნახა რამდენი!
მაინც მოელის კეთილსა,
გულში უღვივის ნუგეში,
ბედს ეძებს, დაუცხრომელად,
მსოფლიოს კალთა-უბეში.
ბევრჯელ ხიდები აშენა,
ბევრგან კოშკები მაღალი,
ვერსიდგან ვერა-რა ირგო
თვით ბეწვის გამოსავალი.
პირობას ცოტა რამ ჩაჰშლის:
წყალს ატანს იმის შრომასა;
შხამით და ნაღვლით ადედებს
მის ქვეყანაზე რჩომასა.
ან მზე ჩაუსწრობს უცბადა,
ან უსწრობს მამლის ყივილი.
არა მთელდება არა გზით
საბრალოს გულის ტკივილი!
იმის ბაგიდან უფალზე
მაინც არ ისმის ჩივილი.
უბედურების წამლადა
ზოგჯერ მოუვა ტირილი.
ოცი წელია ბედს ეძებს,
ასე ატარებს დღეებსა.
ხან მინდორ-ველად ათენებს,
ხან ეფარება ტყეებსა.
არ უფრთხის ღამის სათევლად
ხევ-მღვიმეთ, სალსა კლდეებსა.

X

სათათრეთისა მიჯნაზე
იტყვიან ცივსა წყაროსა,
საამოს დასალევადა,
თვალ-გულის გასახაროსა.
მის გარემამო მინდორი
ჰგავ უზარ-მაზარ კალოსა,
ზედ ათას გვარი ხეები
ზამთარ და ზაფხულ ხარობსა.
იქვე ბულბული დღე და ღამ
დაუცხრომელად გალობსა.
წყაროს წინ ერთი ტბა არის
წითელი, წითლის ფერისა
და იმა ტბაზედ თქმულება
ასეთი არის ერისა:
როს თათრებს საქართველოდან
მიუდიოდათ ტყვეები,
აქ თურმე იჟლიტებოდნენ
ჩვენი სამშობლოს ძეები;
აქ თურმე სთხოვდა ურჯულო
გათათრდნენ,—შეცვლას რჯულისას.
ვინც მტკიცედ იდგა, ელოდა
აქვე დალევას სულისას.
სჭრიდნენ თავებსა, ჰჟლეტავდნენ
ქალ-ვაჟთ მხნეთ, რჯულზე მტკიცეთა
და მათი სისხლი უმანკო
ჰრწყავდა ამ მინდვრის კიდეთა.
ქართველთ მოწამეთ სისხლისა
დადგა ტბა იგი წითელი,
ივერიისა კარგ ძეთა,
გრძნობის და ფიქრის მტვირთველი.
ზამთარ და ზაფხულ იმ ტბიდან
იცქირებიან ყოილნი—
შვენება შვენიერების,
ღვთიურის ხელით ქსოვილნი.
იმათზე ლამაზს რას ჰნახვენ
ადამის ტომის შობილნი?!
ზნედა აქვთ, თუ არ ქართველსა
მართალს, სიმართლით მკობილსა,
არას ეტყვიან, უფრო-კი
ურჯულოს, თათრის შობილსა.
როცა-კი თათარს ჰნახავენ,
დაინთქებიან ტბაშია.
არ ვიცი ეს საიდუმლო
რისგანა ხდება, რაშია?!.
მაგრამ თუ ნახეს ქართველი,
მართალი, ქართვლის ტომისა,
აღიძვრის ჩქროლვა-ბოჟირი
ამ ყვავილების შორისა,
აუტეხავენ საუბარს,
ტკბილის ქართულის ენითა;
კაცს აღუძრავენ სურვილსა
გაძღეს მათ კოცნა-ხვევნითა.
უმღერენ სულის სიმტკიცეს,
იმის წყალობით ცხონებას.
თავ-დაუდებლად იტყვიან
გადუხჭირებულს ცხოვრებას.
ბევრსა ამ ტბისა მნახველსა
უნდოდა ყვავილთ მოკრება,
მაგრამ ტყუილად ეცადნენ,
ვერ აუსრულდათ მათ ნება.
მეფეთაც ბევრჯელ გაგზავნეს
ტბაზე ნავი და მცურავნი,
ამაოდ,—ბოლოს მოუხდათ
ცდისა და შრომის მდურვანი:
რა ხელს იგრძნობენ ყვავილნი,
იმათ მოკრების მსურველსა,
ძირს წავლენ, როდი თვისობენ
ხელსა სიწმინდის მთხუპნელსა!..

—

იმ ტბისა პირზე ვიღაცა
კაცი გლახაკი ვიდოდა.
„თქვენ მაინც შემიბრალეთო!"
გულ-ამოსკვნილი იტყოდა.
ეწვდება ყვავილთ, სწადიან
ერთი შეიპყროს მათგანი,
მაგრამ მიურბის საცოდავს
ხელიდგან ტრფობის საგანი.
მას თურმე გადაეძრახნენ
ყოილნი, მორთეს ტიტინი.
მართალთან სასაუბროდა
სულ-წასულნია ისინი!..
იმათი ტკბილი უბნობა,
იმათი ტკბილი ქართული,
აზრები საზენაონი,
სამადლო, გრძნობა დართული
გულს ღრმად ეჭდევა გლახასა,
ტირის, ჩამოსდის ცრემლები;
თვალნი ხომ ჰსვამენ ყვავილთა,
მათკე მიურბის ხელები,
ჰსურს ერთი მაინც მოწყვიტოს,
მით ისულდგმულოს ეგები.
მეტი სხვა ბედი არ უნდა,
არც კეთილ-ყოფნის სვეტები.
მაგრამ ვისა აქვს ის ნება
მკვდართ სულთ უსინჯოს გვერდები?!
— ერთია, მხოლოდ ერთია,
თავისთვის ქვეყნის მვედრები,
იმისი გაჩენილია
ყოველთა არსთა დედები.
დასალუპავად მის ძალა
არც არი გასამეტები!..
სრულს თვის ძალს არცვის დაგვითმობს,
მადლიც ვქმნათ მეტის-მეტები.
ვიღაცა თათრის დიაცი
კოკით მოვიდა წყალზედა,
მან სიტყვა უთხრა უცნობსა:
„თავს რად იწუხებ, რაზედა?
„ბევრს უნდა ყვავილთ მოკრება,
გადაჭრილნია მაზედა,
„მეფენიც ქვეყანისანი
„ვარსკვლავთ რომ ჰკრეფენ ცაზედა.
„ისინიც ვერაფერს გახდენ,
„შენ რას გაჰხდები, სიდანა?
„ყვავილთ ხელ-შეუხებლობა
„ნაბრძანებია ციდანა!"
უცნობმა ხმა როდი გასცა
დიაცს ავად, არც კარგადა.
მას ამ ყვავილთა მოკრეფა
გულში ჩასჭრია დარდადა.
აქ უნდა დარჩეს სამუდმოდ
მას დღეს ისა აქვ აზრადა.
თუ ვერ შეიძლებს დაკრებას,
უნდა ეუბნოს იმათა.
მაზე უკეთესს ადგილსა
სადღა აირჩევს ბინადა?..
დარდობს ეს წმინდა ადგილი

---

*) იხ. „ივერია" № 88.

შესძლებს ჯამაგირების ძლევას თუ არა? კრებამ აგრეთვე გადასწყვიტა, რომ ვიდრე კომისია წარუდგენს თავის დადგენილებას დარჩომილ სამს ხარჯის ამკრეფს ეძლიოს თვეში 35 მანეთი. შემდეგ კრებამ დაასახელა ობოლთა სასამართლოს წევრად 6 კაცი: ნარიმანოვი, ადამიძე, ასიტოვი, ხოსროევი, ზალიევი, ჩიმშკიანი კენჭის ყრით ამოირჩიეს: ა. ადამიძე 51 ხმის წინაამდეგ 16-ისა და ნარიმანოვი 50 ხმის წინაამდეგ 15-ისა. მათ კანდიდატებად იქმნენ ამორჩეულნი ასიტოვი და ხოსროევი.

✦ შირაქიდან დაიძრა ცხვრის ფარები სათრიალეთოდ და თბილისს ზღვის ტალღებივით მოაწყდა: დღე არ გავა ისე, რომ რამდენიმე ფარამ არ გაიაროს ავლაბრის ხიდზე, სადაც მწყემსებს და სამწყსოს ერთგვარი დაბრკოლება უხვდებათ. ეს გახლავთ საქონლის შემოწმება ექიმთა მხრივ და საჭირო მოწმობის აღება მწყემსთაგან, რაიცა მინდვრის შვილთა მგზავრობას ძლიერ აფერხებს. უკეთესი იქნებოდა, რომ ეს „ოპერაცია“ ქალაქს გარეთ ხდებოდეს და არა თვით ქალაქში.

განა მარტო ამ გვარი დაბრკოლება უხვდებათ ცხოვრებაში საცოდავს მწყემსებს, სხვაც ბევრია და ერთი მათ შორის უფრო მომეტებულად მავნებელი „უბერდანკობაა“. ყველა იმათგანი ჩივის და ტირის, ნება არა გვაქვს ახალი თოფის ტარებისა: „თათრებს, ყაჩაღებს, ყველას ბერდანკები აქვს და ჩვენში ათში ერთს ძლივს მოეპოვება და როგორც უნდათ, ისე თარეშობენ ჩვენზედაო».

✦ 25 აპრილს, როგორც „ახ. მიმ.“-ს ატყობინებენ, ლაგოდეხის მახლობლად, სიღნაღის მაზრაში, ვიღაც ლეკს რევოლვერით მოუკლავს ვინმე დულკისი. დულკისი თავის ძმასთან ერთად ეტლით მიდიოდა თურმე.

იმერეთის ამბები.

✦ 24 აპრილს დაიწყო ქუთაისში გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება. ქვემოდ ამ კრების ვრცელი ანგარიში გვაქვს მოთავსებული. აქ ვაუწყებთ მკითხველს მხოლოდ 25 აპრილის ერთ გადაწყვეტილებას. კრებამ კენჭის ყრით გადასწყვიტა საჩივარი აღძრას ქუთაისის პოლიცმეისტრის ბ-ნ ლისოვსკის წინააღმდეგ 5 აპრილს ადგილობრივ სათავად-აზნაურო სკოლაში საღამოს აღკრძალვის გამო. კრებაზედ ეს საგანი აღძრა სკოლის სამზრუნველო კომიტეტის წევრმა სერგი ჯაფარიძემ, რომლის დასაბუთებული მოხსენებაც გუბერნატორის საშუალებით წარედგინება კავკასიის მთავარ-მართებელს. თავისს მხრივ გუბერნატორს, როგორც კრებაზედ განაცხადა თავმჯდომარემ ს. ლორთქიფანიძემ, „სასტიკი გამოძიება დაუნიშნავს“.

✦ ზეგ, 30 აპრილს, დაიწყება ქუთაისში ადგილობრივ სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა წლიური კრება.

✦ ხვალ, 29 აპრილს, ბათუმის ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა ექმნება. საბჭომ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს: პროექტი წესდებისა ქალაქის ახალ საავადმყოფოსათვის; კომისიის მოხსენება ბათუმის რუსეთთან შეერთებიდგან 25 წლის შესრულების სახსოვარ დღესასწაულის გამართვის შესახებ და სხვა.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება.

(დასასრული *)

25 აპრილს კრება დაიწყო $11^{1}/_{2}$ საათზედ. კრების დაწყებისათანავე თავ. ილ. ჭავჭავაძე შეეკითხა, რამდენი ხმა იყო სულ გუშინ. თავმჯდომარემ მოთვალა 29 და 15, ე. ი. 44. თავ. ჭავჭავაძე აცხადებს, რომ ეს კენჭის ყრა უკანონოა, რადგან წესდებით კენჭის ყრა კანონიერად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ რწმუნებულთა მთელი რიცხვის ორი მესამედია. 44 კი არ შეადგენს რწმუნებულთა ორ მესამედს.

თავ. ალ. ჩოლოყაშვილმა განაცხადა რომ გუშინდელი კენჭის ყრა კანონიერია და ვთხოვ გამგეობას და ზედამხედველს კომიტეტს, რომ რწმუნებულთა კრების გუშინდელი დადგენილება გაიგზავნოს თავისს დანიშნულებისამებრ.

თავ. ჭავჭავაძე კითხულობს თუ, როგორ უნდა შეადგინოს გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა იმ საქმეზედ ჯეროვანი შუამდგომლობა, როდესაც ერთიც და მეორეც, გამგეობის ერთის წევრის გარდა, დადგენილების წინააღმდეგია. ისევ თქვენვე შეადგინეთ, როგორც გსურთ და ჩვენი მოვალეობაა გავგზავნოთ, სადაც ჯერ არს.

ბოლოს ბ-ნმა ა. ფურცელაძემ იკისრა ამ საქმის აღსრულება მხოლოდ იმ პირობით, რომ ნება ჰქონდეს მოიწვიოს რამდენიმე პირი, რომელნიც ამ საქმეს თანაუგრძნობენ. კრებამ ერთ ხმათ შეიწყნარა ფურცელაძის წინადადება.

ექიმი გაბაშვილი შეეკითხა თავმჯდომარეს, რა მდგომარეობაში არიან წარსულის წლის კრების დადგენილებანი, შესრულა თუ არა გამგეობამაო. მაგალითად, რა მდგომარეობაში არის ბანკის მსახურთა საპენსიო კასაო.

ილ. ჭავჭავაძემ უპასუხა, რომ საპენსიო კასის პროექტი წარედგინა სამინისტროს, მაგრამ ისევ უკან დაგვიბრუნეს შესავსებლად და შესაცვლელად ზოგიერთ მუხლებისაო და ეხლა ხელ-ახლა უნდა წარვუდგინოთ ცვლილებით.

ექ. გაბაშვილი კითხულობს, შედგენილია თუ არა ინსტრუქცია დამფასებელ კომისიისა და ბანკის სააგენტოსიო. არ არის შედგენილიო —უპასუხებს ილ. ჭავჭავაძე, რადგან სამინისტროს რწმუნებულის დანიშვნის შემდეგ ბანკის საქმეთა მიმდინარეობამ სხვა ხასიათი მიიღო და როდესაც საქმე დადგება დონეზედ, მაშინ შევუდგებით ინსტრუქციის შედგენას.

ექ. გაბაშვილი კითხულობს, შარშან, 10 დეკემბერს, რწმუნებულთა კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ სამინისტროს წინაშე, რომ პრიკაზის ვალი გადახდილ იქმნას გირავნობის ფურცლებით, მხოლოდ ზედ-წარწერილ ფასით.

გამგეობამ ამ კითხვაზედ უპასუხა, რომ მაშინდელ კრების თავმჯდომარეს თავ. მელიქიშვილს ჯერ ოქმზედ ხელი არა აქვს მოწერილი და ამის გამო ვერ მივეცით გზა საქმეს.

მ. მაჩაბელს ჰსურს შეიტყოს, —როდესაც დამფასებელი დააფასებს რომელსამე მამულს, შინჯავს გამგეობის წევრთაგანი ადგილობრივ თუ არა?

ილია ჭავჭავაძე უპასუხებს, რომ არც ვსინჯავთ და არც ნება გვაქვსო, რადგან დამფასებელ კომისიას თავისი გამგეობა აქვს. როდესაც წარმოგვიდგენს კომისია საქმეს, ჩვენ იმის ნებაც არა გვაქვს, რომ მოვუმატოთ რამე იმათ დაფასებულს, და დაკლების ნება კი გვაქვს.

ილ. ჭავჭავაძემ ამის დასამტკიცებლად წაუკითხა რევიზორის მიერ დაწესებული წესი დამფასებელთათვის.

მ. მაჩაბელი ამბობს, რომ ის პირადათ არ შეეხება დამფასებლებს და პატივსაც სცემს მათ, რადგან სინიდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ ყოველ მოულოდნელ არა სასურველ შემთხვევაში გამგეობაც იქმნება პასუხის გებაში და ამიტომ საჭიროა, რომ გამგეობამაც მიიღოს ადგილობრივ მონაწილეობა დაფასების დროს.

უგ. თ. გრუზინსკის სიტყვით, დამფასებელთა კანონიერს მოქმედებას ნათლად გვიმტკიცებს წელიწადში ორჯელ მომხდარი საჯარო ვაჭრობა. და თუ რაიმე არა სასურველი შემთხვევა მოხდება, ამაზედ თვით დამფასებელ კომისიამ უნდა აგოს პასუხი და არა გამგეობამ.

მაჩაბელმა ბოლოს დასძინა, რომ ამ საქმეს უყურადღებოდ არ დავტოვებო და ზედამხედველ კომიტეტს წერილობით მივმართავო.

შემდეგ ამისა თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ გამგეობის ორს წევრს ქ. მამაცაშვილს და უგ. თ. მ. გრუზინსკის სამსახურის ვადა უსრულდებათ და უნდა ავირჩიოთ მათ მაგიერი. ამასთანავე ვადა გასდის დამფასებელს ჩერქეზიშვილს და ორს დამფასებელს თავ. ჯორჯაძეს და რატიშვილს. ამ ორიდგან მხოლოდ ერთი უნდა დარჩეს და ერთმა კენჭი იყაროს.

თავ. ი. ნ. აფხაზის აზრით; თუ სიმართლეს დავადგებით, უსათუოდ სამს უნდა უყაროთ წილი, დამფასებელთ ციციშვილს, ჯორჯაძეს და რატიშვილს. შარშან რომ ვირჩევდით, არ გაგვინაწილებია, ვის შეხვდეს ერთის წლით სამსახური უვადოთ გასულ დამფასებლის მაგიერ. მაშასადამე, სამსავე ერთი და იგივე უფლება აქვს და არა მარტო ორს.

ამ საგანზედ ცხარე ბაასი ასტყდა და დიდხანს გასტანდა კამათი, რომ თვით ჯორჯაძეს არ განეცხადებინა, რომ უწილოდ მე ჩემის ნებით ვიდგამ ყუთსაო. ამ განცხადებამ ერთბაშად დაამშვიდა კრება და კრებამაც თავის მხრივ დააჯილდოვა ჯორჯაძე და ამოირჩია 88 ხმით წინაამდეგ 14-ისა.

შემდეგ დაიწყო არჩევნები და როგორც გუშინდელ ნომერში გვქონდა მოხსენებული, არჩეულ იქმნენ ყველა თავ-თავის ადგილას, ე. ი. გამგეობის წევრებად უგ. თ. მ. ა. გრუზინსკი და ქ. ი. მამაცაშვილი. დამფასებელ კომისიის წევრებად თავ. ლ. ლ. ჩერქეზიშვილი და თავ. ი. გ. ჯორჯაძე. კრება დასრულდა ნაშუადღევის 4 საათზედ.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება.

კრება დაიწყო 24 აპრილს თეატრში. კრებას თავმჯდომარეობდა გუბერნიის მარშალი თ. ს. ლორთქიფანიძე. კრების დაწყებისას მარშალმა თავ. ლორთქიფანიძემ შემდეგის სიტყვით მიჰმართა ქუთაისის გუბერნატორს ბ-ნ სმაგინს:

„თქვენო აღმატებულებავ, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა სიხარულით მიეგება თქვენს დანიშვნას გუბერნატორად. თქვენ მიერ ქალაქის წარმომადგენლებისათვის ნათქვამი სიტყვა, რომელშიაც აღუთქვით სამსახური საზოგადოებას, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, საუკეთესო თავდებია იმისა, რომ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ თქვენის სახით მიიპოვა ნამდვილი თანამშრომელი თავისის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. ქუთაისის გუბ. თავად-აზნაურობა თავისს უწმიდეს მოვალეობად მიიჩნევს ახსნას და გაარკვიოს თქვენ წინაშე თავიანთი საჭიროებანი სამართლიანის და ლეგალურის გზით.

მაგრამ რუსეთის იმპერიის თავად-აზნაურობა, რომელსაც თქვენ ეკუთვნით, ყოველთვის გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს და დღესაც ამასვე განაგრძობს არა მარტო წოდებრივ, სათავად-აზნაურო საჭიროებას, არამედ მთელის ვეებერთელა სამშობლოს მკვიდრთა ინტერესებისას. ქუთაისის გუბ. თავად-აზნაურობაც, ერთის საუკუნის ცხოვრებით შეერთებული რუსეთის თავად-აზნაურობასთან, განმსჭვალულია ამ გვარივე კეთილშობილურ განზრახულებით, ამისათვის უსაფუძვლოდ არ აქვს იმედი, რომ თქვენ, როგორც რუსის აზნაური, აღმოუჩენთ დახმარებას მის არა მარტო სათავად-აზნაურო შუამდგომლობას, არამედ ისეთ შუამდგომლობასაც, რომელიც დაეხმარება ახსნას და გამორკვევას მთელის გუბერნიის მკვიდრთა საჭიროებათა მათ შორის კეთილდღეობის დასამკვიდრებლად.

დარწმუნებული ვარ-რა, რომ ეს ასე იქმნება, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა გისურვებს, თქვენო აღმატებულებავ, მომეტებულ ძალას, ჯანმრთელობას და ენერგიას თქვენის ასეთის საერთოდ სასარგებლო მოღვაწეობისათვის“.

ტაძარში ფიცის მიღების შემდეგ, თეატრში დაბრუნებულ თავად-აზნაურობას მოხსენდა თავად-აზნაურობის დეპუტაციის პეტერბურგში მოგზაურობის ანგარიში, რომელიც წაიკითხა ქუთ. მაზრის წინამძღოლმა თ. დ. ნიჟარაძემ. ხელმწიფის სამადლობელ სიტყვების წაკითხვის დროს გაისმა „ურას“ ხმა, რომლის შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით ისევ ტაძარში წავიდნენ. დამსწრეთ ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოდ პარაკლისი გარდაიხადეს. ამ დღეს კრება ამითი დამთავრდა.

მეორე დღეს, 25-ს, კრებას მოხსენდა საკითხი იმის შესახებ, თუ რას და როგორ უნდა მოეხმარდეს უმაღლესად ნაბოძები 20,000 მან. ამის შესახებ ბევრნაირი პროექტი წარმოადგინეს კრებაზე, მაგრამ ასე უცებ ამ საკითხის გადაწყვეტა კრებამ მოუხერხებლად იცნო და ბევრის ბაასის შემდეგ გადასდვა შემდეგის დღისათვის. სხვა პროექტთა შორის საყურადღებო იყო აკაკის პროექტი დედათა სასწავლებლის დაარსების შესახებ, რომელიც მეტად მარტივად აუხსნა კრებას პოეტმა. მისის ლაპარაკის დროს ყველა სმენად იყო გადაქცეული და გათავებისას დიდის ტაშის ცემით დააჯილდოვეს ორატორი.

ამ დღესვე აღიძრა კრებაზე მთელის ქუთაისისათვის დღესაც სალაპარაკოდ გამხდარი საკითხი 5 აპრილის ინციდენტის შესახებ სათავად-აზნაურო სასწავლებელში. ამის შესახებ ლაპარაკი ჩამოაგდო ნაფიცმა ვექილმა და სკოლის სამზრუნველო კომიტეტის წევრმა სერგი ჯაფარიძემ, რომლის განცხადება აქვე მოგვყავს ამის შესახებს დადგენილებას საზოგადოება ტაშის ცემით მიეგება. აქვე მოგვყავს მოხსენება ვექილის სერგი ჯაფარიძისა:

„ამ წლის 5 აპრილს, საღამოს 10 საათზედ, ქუთაისის პოლიცმეისტერის ალექსანდრე ლისოვსკის განკარგულებით სათავად-აზნაურო სკოლაში აღკრძალულ იქმნა მოსწავლეთა სალიტერატურო-სასიმღერო საღამო, რომელიც გამართა ამ სასწავლებლის ინსპექტორმა სასწავლო-საალმზრდელობლო აზრით. ამ საღამოზედ მიწვეული იყო ამ სკოლისავე შეგირდების დედ-მამა და ნათესავები.

ეს ინციდენტი თავის თავად არავითარის ყურადღების ღირსი არ იყო, რომ მოსწავლეთა უბრალო საღამოსათვის, რომელსაც სხვაგან ყველანი აქეზებენ, როგორც სასარგებლო საშუალებას ბავშვების განვითარებისას, ჩვენს პოლიცმეისტერს განგებ არ მიეცა რადაც უკანონო, ცუდის განზრახულების ხასიათი. ამას, სხვათა შორის, ჰმოწმობს თვით მისი ჩარევა ამ საღამოში: იმის მაგიერ, რომ თუ-კი ამ საღამოს უკანონოთ სცნობდა, შეეტყობინებინა სასწავლებლის ინსპექტორისათვის, ანუ ეცნობებინა სახალხო სასწავლებლების დირექციისათვის, რომელსაც ეს სკოლაც ექვემდებარება. ბ-ნმა ლისოვსკიმ საღამოზე შევარდნით პოლიციის რამდენიმე ბოქაულის, „სტრაჟნიკების“ და „გოროდოვების“ დახმარებით განდევნა იქ თავ-მოყრილნი; პოლიცმეისტერი არ მოერიდა არც იმას, რომ იქ, სხვათა შორის, იყო კამერგერი უმაღლესის სასახლისა, გუბერნიის წინამძღოლი თავ. ს. ლორთქიფანიძე, რომლის დასწრება საღამოზედ საკმაო გარანტია (თავდები) უნდა ყოფილიყო წესიერებისა და კანონიერებისა.

ასეთი საქციელი ბ-ნის პოლიცმეისტერისა, რაც ჩრდილს აყენებს სათავად-აზნაურო დაწესებულებას, შეურაცხ-მყოფელია მთელის ქუთაისის გუბ. თავად-აზნაურობისა, რომელმაც ამისათვის არ უნდა დასტოვოს იგი უყურადღებოდ. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ზემორე მოხსენებულმა ინციდენტმა მიზეზი მისცა ბათუმის გაზეთს განეახლებინა ეროვნული წაღიზიანება, რასაც იგი ამ უკანასკნელ ხანამდე ასე გულ-მოდგინედ ეტანება. თავი რომ დავანებოთ „ჩერ. ვესტ.“ (1902 წ. № 89) შენიშვნის უზრდელ ხასიათს, საკმაოა აღვნიშნოთ მისი თქმა, ვითომ ჩვენს სკოლაში „რაღაც უცნაური რამ კეთდებოდეს.

---

*) იხ. „ივერია“ № 88.

რად-არ იცოდა წინადა.
ქვეყნად იპოვნა სამოთხე, —
ნავთ-საყუდარი სულისა,
მას აღარც წყალი სწყურდება,
აღარც ნდომა აქვ პურისა.
დღე ხომ აქ არის, ღამესაც
ათევს ამ ტბისა პირასა.
არა კითხულობს ორშაბათს,
როდი დაეძებს კვირასა!..
ხან თუ იტირებს, ხან კიდევ
უნდება ლოცვა-წირვასა.
ის იმ დღენდელი დიაცი
მუდამ დღე მოდის წყაროზე,
ურჩევს წავიდეს, არ ესმის,
ვით ჯამ-კოვზს ყოფნა თაროზე,
და გუთანს მადლის ჩადენა
საწყალის ობლის ალოზე.
სამს ღამეს, წინა-კვირაში,
საბრალომ ნახა სიზმარი,
ერთი და იგივ არსება
მისი აქ ყოფნის მკიცხავი.
თვითაც გაიგო ზმანება —
მოვლინებული ცით არი.
სამს ღამეს ნახა კაცი რამ,
ხელთ ეპყრა მშვილდი-ისარი.
შავსა, მთასავით დიდრონსა,
პირიდგან ცეცხლი სცვიოდა,
და როგორც რკინა წრთობის დროს
წყალში, იმ გვარად შხიოდა.
ცის ჭექასა ჰგავს მისი ხმა,
ჯოჯოხეთს—მისი შუღლია.
გარისხებულს ჰგავ ბუნებას,
მეხის სროლა-ლა უკლია.
ბჭყვრიალებს სინასავითა
მის გერგეტივით შუბლია,
წარბები სიგძე-სიგანით,
როგორც დარბაზის ზღუბლია.
ვით ცას, საწვიმეთ გამზადულს,
თვალ-წარბი დაუღრუბლია.
„წადი აქედან“, ის ეტყვის:
„ნუ-თუ აღარა გრცხვენია?
„ამდენს ხანს ყვავილთ მიწუხებ,
„ფიქრი რა არი შენია?!.
„გასწი აქედგან, თუ არ გსურს
„სამუდმოდ თავის დაღუპვა,
„ვით საქაოს, იქაცა
„ბედის კარების დახურვა, —
„თავის ბეჩავის სულისა
„ტანჯვის ცრემლებად დაწურვა!“
ვინ იყო ან-კი შავ-ბნელი,
ღვთისგან წყეული ქმნილება,
რომ მის იქიდან დათხოვნა
შეუწყნარებლად ინება?!.
ნუ-თუ ის წმინდა სულია,
კაცის სიწმინდის მფარველი?
თუ შური არი, სიხნეშე,
ყოვლის სიკეთის მპარველი?
მაშ რად ჰსურს შაჩვენებულსა
მისთვის ღვთის ცნების გაგება? —
ცაში და დედა-მიწაზე
თავისთვის ძეგლის აგება?
ბოროტს სულს ბოროტისათვის
პასუხს მოჰკითხავს განგება!
საბრალოს უნდა წავიდეს,
ცრემლს ისხამს პირზე მუჭითა.
რომ ის დიაციც მოვიდა
თათრისა, წყალზედ ჰურჭლითა
და როგორც წინად, ეხლაცა,
იმას აქ ყოფნას უშლიდა.
უკვირდა დიაცს ძალიან
ამ უცხო კაცის შტერობა.
მივიდა მასთან პირდაპირ,
აღარ დაუწყო ფერობა.
— კაცო, ჰე კაცო, ვინა ხარ
მაგრე გიჟი და რეგვენი,
როდემდის უნდა აწამო,
სტანჯო თვალნი და ბაგენი?!
შენ გინდა მარტოკამ შასძლო
ქვეყნის უქნელნი საქმენი?
როდემდის უნდა ატარო
უქმად დღენი და ღამენი?
გინდა რომ დაისაკუთრო
ტბის ყოვლით ტურფა სახენი?
გირჩიე, არ დაიჯერე,
მე გეუბნენი რამდენი:
აბა, ნაყოფი სად არი,
შრომის შედეგი რა ჰქენი?! —
ზედ მიაშალა სახეში
უცნობს სიტყვანი მკვახენი.
— მაშ რა ვქნა, ჩემო დედილო,
ამათ დამიგეს მახენი!?.
ველარ ვშორდები ყოილებს,
რაკი ერთხელა ვნახეო,
აქედან წასვლა ეხლა-კი
მე თითონ განვიზრახეო.
რაკი ღვთისგან და კაცისგან
ყველასგან დავიძრახეო.
უცხო დედაკაცი.
სადაური ხარ? რას დახვალ?
დედა-შვილობას მითხარი.
ან სახე რად გაქვს მჭმუნვარე
გულის წყლულთ გამომჩინარი?
საბრალო.
განა, ჰკითხავენ ბეჩავსა
სადაური და ვინ არი?
ან რისთვის დადის, რად ტირის,
გული რადა აქვ მტკივანი?
რად გინდა, ვინ ვარ, გაიგო,
არაფრად გამოგადგება.
უცხო დედაკაცი.
რად მაგრე გაგკვირვებია,
აქ უცნაური რა ხდება?
ხომ წეის არი შაკითხვა,
უცხო რომ უცხოს შაჰხვდება.
საბრალო.
გეტყვი, დედილო, მაგრამ რო
თავში აღარ მაქვს გონია.
მე, საქართველოს ეტყვიან,
იცი-კი, გაგიგონია?
იქიდანა ვარ სწორედა,
აქით ძალიან შორია;
აქამდე გადმოსავალი
მრავალი მთა და გორია.
დედა-კაცს ალმა გადაჰკრა,
ეს რომ გაიგო, —სახეზე,
და თხილის ტოლა ცრემლები
ჩამოუგორდა თვალებზე
უცხო დედაკაცი.
მერე ამ ურჯულეთშია
რამ ქარმა გადმოგიტანა?
საბრალო.
მეც მიკვირს, მაგრამ რა უყო,
საქმე შამემთხვა მისთანა.
კაცის სვე-ბედის გაგება
ჩვენგანს ვისა აქვ ღვთისთანა?..
უცხო დედაკაცი.
ვაჰმე, მეც იქაური ვარ,
შვილო, სად ვათენ-ვაღამებ!?
ორმოცი წელიწადია
გულ და გონებას ვაწამებ
ამ უცხოეთში... ვენაცვალე
ისევ სამშობლოს მხარესა.
ველარა ვნახავ, ეს მტანჯავს,
იქაურს ცას და მთვარესა,
იმათი ნახვა წყლულს გულსა
ძალიან გაახარებსა.
ღამდება ჩემი სიცოცხლე,
ფიქრს ვერ იშორებს მწარესა:
მისჯარდა, უახლოვდება
იმ ცივს სამარის კარებსა,
მიდის და თან, მიიყოლებს
სინდისის ქენჯნის წამებსა.
ვინ იცის, საიქიოსაც,
ცრემლით ამივსებს თვალებსა?!
საბრალო.
როგორ? რა გახდა მიზეზი,
რო გულს დაგაჩნდა დაღადა?
უცხო დედაკაცი.
ტყვედა ვარ წამოყვანილი,
ვაი, რო ვიყავ ბალღადა;
ასე ვერ ვამუშავებდი
მაშინ გონებას საღადა.
აი, ამ ადგილს სწორედა
ძალად გამხადეს თათრადა.
და ვინაც რჯულზე გამტკიცდა,
იმას მოეპყრნენ აფთრადა:
გაჟლიტეს, იმათი სისხლი
აქა დიოდა ღვარადა.
როცა მოვდივარ წყაროზე
თვალებს წინ დამიბნელდება,
მუხლები ცახცახს დამიწყებს
და სულთქმაც გამიძნელდება.
ულმერთოდ დახოცილები
მაშინვე გამახსენდება.
საბრალო.
დიდად შეჰმცდარხარ, დედილო,
რო რჯული გადაგიგდია.
დღეს შენს სულს აქა ვნახავდი,
სისხლის ტბა რომ დგა დიდია
და თავის ნეტარებასა

ზემორე ნათქვამის მიხედვით და 159 და 169 სტ. (IX ტ. კან. კრ., გამ. 1899 წ.) ძალით, მე შემომაქვს წინადადება თავად-აზნაურობის კრების წინაშე—შევიტანოთ პოლიცმეისტერ ლისოვსკის უკანონო მოქმედებისათვის საჩივარი უწყებულის წეს-რიგით“.

გურიის ამხანაგობის „შუამავლის“ არა ჩვეულებრივი წევრთა კრება დ. ლანჩხუთში.

(დასასრული *)

განახლებულ კრებაზე თავმჯდომარემ მოითხოვა კანდიდატების დასახელება. ამხანაგობის წევრს მღ. დ. იმნაიშვილს უნდა კერძო მოლაპარაკებაში არჩეული კანდიდატები დაესახელოს, მაგრამ ბ-ნი ჭეიშვილი—სიტყვას აწყვეტინებს და ქედ მოხრილი, მისუსტებულის ხმით განაგრძობს: ნუ-იფიქრებთ, ბატონებო, ვითომც მე მინდოდეს სამსახური: პირ-იქით,—დიდი მადლობელი ვიქნები, თუ გამანთავისუფლებთ და თუმცა ღარიბი კაცი ვარ, მაგრამ 300—400 მანეთი, ჩემის საკუთარ ფულით დავეხმარები, ვინც იქნება ამ საქმის ხელის მომკიდებელი. ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს ამხანაგობას დღეს 8000 მანეთი ვალი აქვს; ეს ფულები გამოტანილია სხვა-და-სხვა ბანკებიდგან, სხვა-და-სხვა კერძო პირების თამასუქებით და 25 ამ თვეს ყველა შეტანილ უნდა იქნას, ამისთვის გთხოვთ აირჩიოთ ისეთი პირი, რომელმაც შეიძლოს ამ ფულების შოვნა და დანიშნულ დროზე ბანკებში შეტანა, რათა პირნათლად გამოვიდეთ იმ პირებთან, რომლებმაც თამასუქებზე ხელი მოგვიწერეს და საშუალება მოგვცეს.

თ. კიკვაძე. აი, ბატონებო, ჩვენ ისედაც გვიძნელდება კაცების შოვნა, არავინ კისრულობს დავლიანებულ ამხანაგობას ხელი მოჰკიდოს და ესკი, ისედაც დაშინებულ ხალხს აშინებს იმით, რომ ორ დღეში 8000 მანეთი ბანკებშია შესატანიო. ამით უნდა ისარგებლოს, არავის ამხანაგობის მართვისათვის ხელი არ მოჰკიდებინოს და ისევ მანვე მართოს საქმე, როგორც დღემდე შვრებოდა. სად ბრძანდებოდით, ბატონო სოლომონ, დღემდე, თუ 25 ამ თვეს 8000 მანეთი ბანკებში იყო შესატანი? რატომ დღემდე არ დანიშნეთ კრება, როცა ჩვენ განცხადება მოგეცით, გთხოვეთ კრება დაგენიშნათ! ჩვენი განცხადება ხომ თებერვალში მიიღეთ. მას შემდეგ სამი თვე გადის. ნაცვლად სისრულეში მოყვანისა, შემოგვითვალე «დაალბეთ თქვენი განცხადება და შუბლზე მიიწებეთ“. ეგ ხომ თქვენი სიტყვებია?!..

თავმჯდომარე. ბატონო, გთხოვთ პიროვნებას ნუ ეხებით.

ს. ჭეიშვილი. თათბაშივე იყო ნათქვამი, ადამიანის პიროვნებას ნუ შეეხებითო, რათ არღვევთ თავმჯდომარის სიტყვებს.

აქა-იქ ისმის უკმაყოფილო სიტყვები ჭეიშვილის მიმართ: ამხანაგობა დაგვიქცია და აღარც სიტყვის თქმას გვანებებენო.

თ. კიკვაძე. მე პიროვნებას არ ვეხები, არამედ საქმეზე ვლაპარაკობ, იმ საქმეზე, რომელიც დღეს სამარის კარებზე მისულია. ვცდილობთ ხელიდგან გამოვტაცოთ და უკანასკნელ გზიდგან როგორმე დავაბრუნოთ, მაგრამ კიდევ აღარ გვეშვება და უნდა მაინც და მაინც სამარეში ჩაასვენოს?..

ს. ტოროტაძე. ბატონებო, ასე კაცის უდიერათ მოპყრობა შეიძლება!? განა, მე-კი არ შემტკივა გული ამხანაგობაზე, განა, მე-კი არ მინდა მისი სიკეთე?! ბ-ნს სოლომონს რაც შეეძლო, ცდა არ დაუკლია, მაგრამ არაფერი გაუვიდა. დღეს-კი მადლობის მაგიერ წამებას უპირებთ. კაი, თუ გინდათ ვაწამოთ, ჩამოვახრჩოთ, მე პირველად მივალ და ხელს მოვკიდებ და გინდათ ვაწამებ კიდეც... მაგრამ ეს კანონიერი იქნება, ეს შესაფერი იქნება იმ მძიმე სამსახურისა, რაც ამ ოთხ წელიწადში მან გაგვიწია?!. ზარალიც და მოგებაც ხომ მოსავალია...

ხ. ძარძამია. რა ზარალი?! ცეცხლი უნდა გაუჩნდეს, ან გემი უნდა დაიღუპოს, რომ ამოდენი ზარალი მოხდეს ისეთ პატარა წარმოებაში, როგორიც ჩვენს ამხანაგობას ჰქონდა.

თავმჯდომარე. დაასახელეთ, ბატონებო, კანდიდატები, უბრალო ლაპარაკზე დროს ნუ ვკარგავთ.

დასახელებულ იქმნა ამხანაგობის მმართველის კანდიდატობაზე იოსებ ლაზარეს ძე ქუთათელაძე, რომელიც ამ დღეს იქ არ ყოფილა. გამგეობის წევრებად ვლ. განდელაკი და სილ. ვაშალომიძე. არც ეს უკანასკნელი დასწრებია კრებას.

ი. ქელიძე. სილ. ვაშალომიძე არ დასთანხმდება სამსახურზე და შეიძლება კიდევ ის მოგვივიდეს, როგორც 16 დეკემბერს. კაცები ავირჩიეთ და მერე აღარ მიიღეს საქმეები.

თ. კიკვაძე. საიდგან იცით, რომ უარს იტყვის?

ი. ქელიძე. იქიდგან, რომ წინეთ უარი აქვს ნათქვამი.

თ. კიკვაძე. წინანდელი უარი იმას არ ნიშნავს, რომ დღესაც უთუოდ უარს იტყვის. წინეთ უარი სთქვა ძველ გამგეობასთან სამსახურზე, განახლებულ გამგეობაში სიამოვნებით დასთანხმდება.

ი. ქელიძე. მე-კი ვიცი არც ეხლა დასთანხმდება.

თ. კიკვაძე. საიდგან იცით ეს?

ი. ქელიძე. იქიდგან, რომ ჩემთან უარი აქვს ნათქვამი.

თ. კიკვაძე. ჩემთან კიდევ ისა აქვს ნათქვამი, რომ დავსთანხმდებიო. თქვენ რაზედ სწუხდებით, მე ვკისრულობ პასუხის მგებლობას და არა თქვენ.

კრებამ ზემოთ დასახელებული პირები ერთხმად აირჩია კენჭის უყრელათ. ფირმის ეხლანდელმა წარმომადგენელმა ბ. სოლ. ჭეიშვილმა განუცხადა კრებას, რადგანაც სულ ახლო ხანში (25 აპრილს) ამხანაგობას ვალი აქვს გადასახდელი, ამიტომ სთხოვს კრებას, დაავალოს ფირმის ახალ წარმომადგენელს მიიღოს მისგან ორის დღის განმავლობაში ყოველ გვარი ანგარიში ამხანაგობისა, ხოლო ამ დღიდგან ამხანაგობის საქმეთა გამო არავითარ მოვალეობას თავისს თავზე არ იღებს.

კრებამ დაადგინა, ეთხოვოს ფირმის ახალ წარმომადგენელს, ბ-ნ იოსებ ქუთათელაძეს, რამდენადაც მისგან შესაძლებელი იქნება ადრე ჩაიბაროს ბ. ჭეიშვილისაგან ამხანაგობის ყოველივე ანგარიში და ფირმა გადაიტანოს თავის სახელზე.

საშუალების გამოძებნის შესახებ კრებამ დაადგინა: დავეხმაროთ ყველა პარკის ყიდვაში და სუსხის მოპოვებაში ვექსილების მიცემითო.

ვალის გასანაღდებლათ კრებამ დაადგინა: ვისაც ამხანაგობის ვალი აქვს, დაევალოს გადაიხადოს ივნისის დამლევამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოერიცხოს წილის ფულიდგან. რაც შეეხება არა წევრთ, იმათ მოეთხოვოს ვალი სამართლის წესით.

ზედამხედველ კომიტეტის უფლების განსაზღვრის მაგიერ, კრებამ იგი სრულიად გააუქმა ბ-ნ თედ. კიკვაძის და არ. წითლიძის წინადადებით.

კრება სადმოს 6 საათზე დაიშალა.

ი. გოგიჩაიშვილი.

ნარკვევი.

ვენაში ერთი შესანიშნავი ამბავი მომხდარა, რომელსაც დიდი იურიდიული ინტერესი აქვს. აი, როგორა ყოფილა საქმე:

ამას წინადაო, მოგვითხრობს გაზ. «Рус. Вѣд.»-ის კორესპონდენტი,—ქალაქის საბჭოს წევრმა ბელოგლავეკმა სთქვა ერთის გაზეთის შესახებ, რომელსაც ჰბეჭდავს პანგერმანელთა დასის დეპუტატი ვოლფი, ჰუჭყიანი გაზეთიაო და ერთი ორიოდე ფრიად საწყენი სიტყვაც დაუმატა თურმე ამას ლანძღვისა და თრევისა. ვოლფმა უჩივლა ბელოგლავეკს. პირველ ინსტანციის სასამართლომ დამნაშავედ სცნო ბელოგლავეკი, შეურაცხება მიგიყენებია გაზეთის სახელისათვისაო და მიუსაჯა დაპატიმრება 24 საათით. ბელოგლავეკმა საქმე ოლქის სასამართლოში გადიტანა, მაგრამ იმანაც შეიწყნარა განაჩენი, კანონიერად დაუდგენიაო. პროკურატურამ გამოაცხადა, არა, ეგ გადაწყვეტილება კანონიერებას მოკლებულიაო და საქმის გარემოება აცნობა უზენაესს პალატას. უზენაესმა პალატამ ის აზრი გამოსთქვა, რომ იურიდიული შეცდომაა, ვითომ გაზეთი ისეთი რამ იყოს, რის სახელსაც შეიძლებოდეს შეურაცხება მიაყენოს კაცმაო. ამიტომ ამ შემთხვევაში კანონი სახელის შეურაცხყოფის შესახებ სამართლიანად არ მოუხმარნიათ, წესიერად არ გამოუყენებიათო: გაზეთი არის გასაყიდი საქონელი, რომელიც ყველასათვის ხელ-მისაწვდომია და რომლის ყიდვა ყველას შეუძლიან ფულითაო. ამიტომ შეუძლებელია თქმა, შეურაცხჰყვეს სახელი გაზეთისა, როგორც შეუძლებელია შეურაცხყოფა რომელისამე სხვა საქონლის სახელისაო.

საქმე ხელ-მეორედ იქმნა განხილული და ბელოგლავეკი გაამართლეს. მაგრამ გაზეთებმა ერთი დავიდარაბა ასტეხეს. იურისტებმა დაიწყეს წერა გაზეთებში ამ საქმის გამო და ამტკიცებდნენ, რომ ამ შემთხვევაში სამართალი დიდად შესცდა, აურია ერთმანეთში ორი სხვა-და-სხვა გვარი საგანი ზოგიერთ გარეგან ნიშანთა მზგავსების გამო.

მართალიაო,—ამბობდნენ იურისტები, რომ გაზეთი საქონელია, მაგრამ როდის არის საქონელი? მაშინ, როდესაც სახეში გვაქვს თვით ფურცელი გაზეთისა, ერთ-ერთი ეგზემპლიარი მისი. ამიტომ მართალია, ისიც, რომ ყველას შეუძლიან, ვისაც-კი თვალ წინ უდევს გათხუპნული ნომერი გაზეთისა, სთქვას, „ეს რა ჰუჭყიანი გაზეთიაო“ და ამისათვის სამართალში ასეთ სიტყვების მთქმელს არავინ მისცემს. გარნა სიტყვა «გაზეთი“ იხმარება სხვა აზრითაც, იმ აზრით, რომ იგია საქმე, სავაჭრო საქმე, ხოლო სავაჭრო საქმე შეიძლება საგანი იყოს (ობიექტიც და სუბიექტიც) სამართლისათვის. მაშ რა აქვს საერთო გაზეთს, როგორც ფურცელს, დაბეჭდილს ნომერს, გაზეთთან, რომელიც ისე იგულისხმება, როგორც ნაყოფი რამდენისამე კაცის სულიერის მოღვაწეობისა? ან-კი როგორ იკისრა განათლებულ იურისტების სინკლიტმა, რომ ასე აურ-დაურია ცნებანი. აურ-დაურია იმიტომ, რომ აქაც არის სიტყვა „გაზეთი» და იქაც? სასამართლო ამბობს: საქონელი, მაგალითებრ, წაღები—არ შეიძლება შეურცხყოფილ იქმნას, ამიტომ გაზეთი-საქონელიც ამავე საფუძველით ვერ იქმნება შეურაცხყოფილიო. მაგრამ ამავე მაგალითით ვხედავთ, რა ღრმა განსხვავებაა ამ ორ საქონელს შორის. შეიძლება განა წაღებს დააბრალოს ვინმე, სახელი ჩემი შეურაცხჰყოვო? გაგიგონიათ როდისმე, რომ წაღები სამართალში მიეცეს ვისმე, როგორც შეურაცხმყოფელნი? არა, არ შეიძლება, არ გაგიგონიათ. ხოლო რამდენჯერ მომხდარა, რომ გაზეთი სამართალში მიუციათ სახელის შეურაცხყოფისათვის? ჰო და ამ შემთხვევაში ახსოვთ, რომ გაზეთი წარმომადგენელია ამა თუ იმ ადამიანთა;— მაშ, რაღად ავიწყდებათ ეს გარემოება მაშინ, როცა შეურაცხყოფა მიუყენებია არა გაზეთს, არამედ შეურაცხყოფა მიუყენებიათ თვით გაზეთისათვის?

ბელოგლავეკისა და ვოლფის ამბავმა და დავი დარაბამ გამოიწვია დიდი კრება ვენის ლიტერატორებისა, გაზეთების თანამშრომლებისა და პოლიტიკის მოღვაწეთაც-კი. ამ კრებას დაესწრნენ, სხვათა შორის, ისეთ გაზეთების მთავარი რედაქტორებიც, როგორიც არის „Neue Freie Presse“ და „Fremdenblatt“-ი. პირველის რედაქტორმა, დ-რმა ბახერმა სთქვა, რომ ახირებული ცალმხრივობა გამოიჩინა სასამართლომაო.

გაზეთის ყველა ნიშნობლივ თვისებათა შორის რაღა იმ თვისებას მიაქცია სასამართლომ ყურადღება, რომ გაზეთი სასყიდი და გასაყიდი საქონელიაო, განაგრძო ორატორმა. განა, ყველაზედ მეტი ნიშნობლივი თვისება ეს არის გაზეთისა? გარეგან ნიშნებს რომ მივყვეთ, შეიძლება ასეთისავე სამართლიანობით ვსთქვათ, რომ გაზეთი ის არის, რაშიაც საწვრიმალოს ახვევენ მედუქნეები, გაზეთი ის არის, რასაც ხშირად აღკრძალავენ ხოლმე, ის არის, რის კითხვაც ისე უყვართ დილით ჩაის სმის დროს; ესაც ხომ, ასე თუ ისე, მართალია. ისევე მართალია, როგორც ის, რომ გაზეთი გასასყიდი საქონელია. სრულიადაც ეს არ არის უმთავრესი ნიშნობლივი თვისება გაზეთისა. რამდენი გაზეთი და ჟურნალია‘ რომ არ ისყიდება და მხოლოდ იმ წევრთ ეგზავნებათ, რომელთაც რაიმე სამეცნიერო საზოგადოება აქვთ შედგენილი. არ არის მართალი ის საზოგადო აზრიცა, რომელიც სასამართლომ გამოსთქვა, ვითომ საქონელი, საგანი არ შეიძლება შეურაცხყოფილ იქმნასო. მაგალითად, შეიძლება განა დაუსჯელად უპატივობა მიაყენოთ ძეგლს, საელჩო გერბს, სამხედრო დროშას, საეკკლესიო სამკაულს და სხვ. მაშასადამე, კანონის აზრით, როცა საგანი სიმბოლოა რომელისამე ცნებისა, იგი უბრალო საგანი აღარ არის. როცა ამბობენ გაზეთიო, ამით ის-კი არ უნდათ სთქვან, გაზეთი საქონელიაო, არამედ სახეში აქვთ მისი შინაარსი. ამიტომ ვამბობთ: პროგრესიული გაზეთიო, რეაქციის მომხრე გაზეთიო. ენამაც შეიმუშავა ასეთი თქმა: ეს გაზეთი მტკიცედ ადგია თავის რწმენას, ხოლო ის გაზეთი მხდალია და უარ-ჰყოფს თავისს აზრებსაო. გარნა ეს ზნეობრივი თვისებანია, რომელთაც ვერ ვაკუთვნებთ ნივთს, არამედ ცოცხალ ადამიანთ, რომელთა განხორციელებაც არის გაზეთი. და აი ეს სულიერი კავშირი გაზეთსა და იმათ შორის, ვის სულიერი ნაყოფიც არის გაზეთი, აქვთ ხოლმე ფიქრად, როცა ამბობენ: პატიოსანი, სინდისიერი გაზეთი, უპატიოსნო, უსინდისო გაზეთიო.

სასამართლომ სთქვა: «როგორც ნივთის გამკეთებელს არ შეუძლიან სამართალში მისცეს ის, ვისაც ავად მოუხსენებია იგი, თუ-კი ეს ავად ხსენება არ ეხებოდა გამკეთებელს, იმ გვარადვე გაზეთის პატრონთ და გამომცემელთ არ შეუძლიანთ სამართალში მისცენ გაზეთის სახელის შეურაცხმყოფელნი». მართლაცა-და სრულიად თავს არ მოდის ასეთი თქმა სასამართლოსიო, განაგრძო ორატორმა. თუნდ საგანიო საქმე იყოს გაზეთი, მაინც ნება უნდა ჰქონდეს სასამართლოში მისცეს თავისი შეურაცხმყოფელი, როგორც ნება აქვს, მაგალითად, ბანკს, ანუ ბანკის გამგეობას უჩივლოს იმას, ვინც გაჰბეჭდავდა და იტყოდა, ეს და ეს ბანკი საეჭვო და უკანონო ოპერაციებს მისდევსო. კანონმა უკვე შეიწყნარა, რომ გაზეთს კოლექტივური ადამიანის ხასიათი აქვსო, როცა შესაძლოდ აღიარა სამართალში მიცემა გაზეთისა, მისის რედაქტორის სახით. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ სულიერის მოღვაწეობის ნაყოფი სულ სხვა, უფრო დაახლოვებულ კავშირშია თვის დამბადებელთან, ვიდრე მექანიკურ მუშაობის ნაყოფი. იმ ვითარებაში, რომელიც არსებობს გაზეთსა და მის რედაქტორს შორის, გაზეთის შეურაცხყოფა სხვაფრივ არ შეიძლება ვიგულისხმოთ, თუ არ მის რედაქტორების შეურაცხყოფად.

ჩვენ, ჟურნალისტებს, რომლებისათვისაც საგაზეთო მოღვაწეობა მოწოდებაა,—სთქვა დასასრულ დ-რმა ბახერმა,—რომელნიც ჩვენს უკეთესს ძალ-ღონეს გაზეთსა ვწირავთ, თავსა ვდებთ მისთვის, სულს არ ვიშურებთ და ხორცს, გულსა და ტვინს, ჩვენის პროფესიის დიდ შეურაცხყოფად მიგვაჩნია იმის თქმა, რომ გაზეთი მხოლოდ გასასყიდი საქონელია და სხვა არა-რაო.

უცხოეთი

ინგლისი. მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამერიკელმა მილიარდერმა მორგანმა განიზრახა იმ სავაჭრო ფლოტის ხელთ ჩაგდება, რომელიც ევროპასა და ამერიკის შუა მუშაობს. დღეს სანავოსნო საზოგადოებანი, რომელთა გემებიც ევროპასა და ამერიკის შუა დადიან, უმთავრესად ინგლისელთა ხელშია. აქვთ საზოგადოებანი გერმანელებს, ფრანგებს, ამერიკელებს და სხვებსაც. აი, სწორედ ამ საზოგადოებათა გაერთიანება განიზრახა მორგანმა და იმათგან ერთის სინდიკატის შექმნა. რაღა ლაპარაკი უნდა, ის სინდიკატი მბრძანებელი შეიქმნება ატლანტიის ოკეანეზედ. ამ სინდიკატთან ერთად პირველობას სანავოსნო საქმეში ამერიკელნი მოიპოვებენ. ჯერ, ხანობით მორგანმა სამი ინგლისური საზოგადოება შეიერთა, უკეთ რომ ვსთქვათ, შეიძინა დიდ-ძალის ფულით იმათი გემები, რიცხვით ოთხმოცამდე. სინდიკატსავე შეუერთდა გერმანელთა ორი საუკეთესო სანავოსნო საზოგადოება. მორგანის განზრახვამ დიდად შეაშფოთა, როგორც გერმანელნი, ისე ინგლისელნი. განსაკუთრებით ეს უკანასკნელნი სწუხან და შიშობენ ზღვაზედ ამერიკელთა გაბატონებას. ინგლისელნი იმ ზომამდე შეშფოთდნენ, რომ პარლამენტში ამის თაობაზედ მთავრობასაც-კი შეეკითხნენ. რასა ჰფიქრობს მთავრობა,—სთქვა დეპუტატმა ვუდჰაუზმა,—ახალ სინდიკატზედ, რომლის წყალობითაც ამერიკელთ განუზრახავთ ნავოსნობის ხელთ ჩაგდებაო. მთავრობამ, როგორც ყოველთვის, ვერაფერი სანუგეშო ვერ აუწყა შეშფოთებულ დეპუტატებს. ბალფურმა განაცხადა მხოლოდ, რომ „მთავრობამ ზომები მიიღო, ახალმა სინდიკატმა ზარალი არ მოუტანოს ინგლისის სამხედრო ძლიერებასაო“. რაც შეეხება ამ საქმის სავაჭრო მხარეს, ბალფურის აზრით, მთავრობამ არ უნდა უღალატოს ტრადიციას და არავისი თავისუფალი მოქმედება არ უნდა შეზღუდოს.

ავსტრ-უნგრეთი. ამ ბოლოს დროს გალიციაში გლეხთა შორის მეტად დიდი მოძ-

---

*) იხ. „ივერია“ № 88.

იქიდგან დამითვლიდია.
ყოილად ამოხვიდოდი
ტურფა, ნაზი და მშვიდია.
უცხო დედაკაცი.
ეგ არ-ვინ იცის... თათრებს-კი
და მეც რაც უნდა გვეწადოს
თუ არ მიპარვით, ქურდულად.
რაც უნდა ბევრი ვეცადოთ,
თუნდა სანთლები დაუნთოთ,
ხვეწნა-მუდარით ვეძახოთ,
ყოილთ ჩვენ თვალით ვერ ვნახავთ:
მაშინვე დაინთქებიან
და, როგორც ცხვრები მგლისაგან,
ტბის ძირში გაიქცევიან.
საბრალო.
ალბათ აშინებთ საწყლებსა,
მაშ მაგრე რადა შვრებიან?
როცა ურწმუნოთ ჰნახავენ,
არ დაგვხოცონო ჰკრთებიან...
ქრისტე რომ უარ-გიყვია,
გიქმნია ფრიად ცუდადა!
უცხო დედაკაცი.
საქვეყნოდ დიაღ, მაინც-კი
მასვე ვლოცულობ ჩუმადა
და დედა-ღვთისა ისევაც
ჩასახული მაქვს გულადა.
ხომ იცის დამბადებელმა,
მასვე ვეკუთვნი სრულადა.
მაგრამ საქვეყნოდ სულელმა
ვერ უარ-ვყავი მეჩეთი
და მოლის ლოცვა-წირვასა
უნდა დაუკრა ბეჭედი.
ასე რად ვშვრები—ეს ფიქრი
გულს დამჩნევია წყლულადა
და რასაც ჩუმად ვლოცულობ,
რატომ არ ვამბობ ცხადადა?!
ურჯულოს სიტყვით არ ვამცნებ,
რაც მიმაჩნია ხატადა?!.
საბრალო.
დიაღაც საჭირო იყო
თავის რწმუნების დაჩენა:
ამისი მაგალითები
თვითონ უფალმა გვაჩვენა.
უცხო დედაკაცი.
რაღა ვქნა? მეტი ვერ შევძელ,
როგორც დიაცმა, ვიხდალე.
ეგები ღმერთმაც შემინდოს
მიტომ, რომ ბევრი ვიწვალე.
ვიცი, სრულს ნეტარებასა
ვეღარ მივიღებ ღვთისგანა
იმ სოფლად. ეგებ სრულიად
არ გავიწირო მისგანა.
დღეს, რა-კი ქართველი გნახე,
ვითომ საშობლოს ვყოფილვარ,
გულს ისე გაჰხარებია,
თითქოს მეორედ ვშობილვარ.
როცა-კი მომაგონდება
ჩემი სოფელი ერეთი,
ჩალა და ბუჩი მგონია
იმასთან მთელი ხმელეთი.
როს მოვიგონებ სამშობლოს,
გამინათლდება ბნელეთი,
კახეთი მომაგონდება
იქ გვრიტთა, ტრედთა ღუღუნი,
ჩვენი ვენახი, ხე-ხილი,
იქვე ალაზნის დუდუნი—
ტაძარი ალავერდისა,
იქ მწირველ-მლოცველთ გუგუნი.
რად ვუღალატე,—ვიფიქრებ,
გულს გადამეკვრის უკუნი.
რას მიშველს ან-კი ტირილი.
განდგომილს ოხვრა-ბლუკუნი?!
მე ხომ იქ წამოსასვლელი
დაკეტილი მაქვს კარები,
ვეღარა ჰნახვენ სამშობლოს
ვერა დროს ჩემი თვალები.
აქით საწირავს გაგატან,
თუ იმდნად შეგებრალები?
მიმირთვი მამის სალოცავს
და საცა ხატებს სანთლებსა
უნთებენ ქართვლის ქალები,
ჩემებიც ეგებ აენთოს
იმათვე გვერდით სანთლები.
მიმირთვი სვეტი-ცხოველსა,
ალავერდს, თეთრსა გიორგის
და შემავედრე, გეთაყვა,
უკან დაჰბრუნდე შენ როდის.
ეგები ცოდვილ სულისთვის
გზა-დაბნეულის ქალისა
გამომითხოვო ნუგეში,
მეშველობა იმათ ძალისა...
ამაღამ ჩვენს მოისვენე,
იხილე ჩვენი სახლია,
მე და ჩემ შვილებისათვის,
იცოდე, დიდი მადლია.
საბრალო.
ეგ შაიძლება, მხოლოდა
საწირავების წაღება
როგორღაც საძნელოდ მაჩნავ,
კი რადმე მედიდება.
რა ვიცით წერა-მწერლისა—
ხვალის დღისა და ყოფნისა,
ძალი არ მოგვცა უფალმა
თავის მომავლის ცოდნისა;
იქნება ხვალევა ვკვდები
სადმე ტყე-ღრეში ტიალად.
უცხო დედაკაცი.
ღმერთმა დაგიხსნას... თუ მოჰკვდი
მეც არ მივიჩნევ ზიანად
საწირავს. იყოს ალალი
შენ შესანდობარ ფიალად.
წინ დედა ბერი მიუძღვის,
უკან საბრალო მიჰყვება:
ვერ განუცხადა უარი,
რაკი სტუმრობა ინება
გურჯისა, გურჯისვე ქალმა,
თათრების დამონებულმა,
მის ნაუბარით და ბედით
დამწვარმა, დაღონებულმა.

—

მზეც მიეფარა გორის ფხას,
თან გაიყოლა სხივები,
მინდვრად მდუმარებს ბალახი
და ყანა ანაღივები.
„ეს კაცი ვინ მოიყვანე?“
დედასა ჰკითხვენ შვილები.
მის ვინაობა გაიგეს,
იამათ, სინჯვა დაუწყეს,
მხოლოდ მეზობლებს ქართვლისა
იქ ყოფნა როდი აუწყეს:
შიშობენ, ვინიცობაა
იქნებ ურჯულო გაუწყრეს.
ფლავი და ხორცი სუფრაზე
სტუმარს გულ-უხვად დაუწყეს:
ბევრი რამ ჰკითხა დიაცმა,
ვით შვილსა დედა დაუხვდა,
რჯული, სამშობლო და ბედი
მათ სასაუბროდ გაუხდა.
ერთის ხელისა საცმელი
საბრალოს მისცა ძალათი
და საწირავთან ერთადა
მისცა ამ აზრის ბარათი:
„ქრისტეს მსახურნო, მამანო,
მიწყალეთ, შემიბრალეთ:
რჯული შევცვალე, თათრებმა
რა დამატანეს ძალია.
მაინც თავის რჯულს არ ვკარგავ,
გული ქრისტესთან არია;
ენა სხვას ამბობს, გული სხვას,
ყოფნა მაქვს გასამწარია.
გთხოვთ შემავედროთ მეუფეს
წყალ-დაუშრომელთ ქალია.
საწირავს საბრალოს ვატან,
ვსთხოვე და დავავალია,
ევედრეთ ჩემთვის უფალსა
გთხოვთ ნათათრალი სალია“.
საბრალომ ტანისამოსზე
ძალიანა სთქვა უარი:
— გაგცარცოთ, რას ეგვანება,
ეგ რაღა ჩემი შნო არი?!
მაგრამ მასპინძლის შვილები
უფრო ატანენ ძალასა.
ამბობენ: „ჩვენი სისხლის კაცს“
კიდევა ვნახავთ ხვალაცა!“
რომ ვერას გახდა უარით,
ადგა, იმანაც წაიღო
და გარდა საწირავისა
ყველა გლახებზე გაიღო,
თითონ-კი ისეთივ დადის,
როგორიც ვნახეთ გუშინა,
იმავე ფიქრზე დამდგარი,
რა ფიქრზეც იდგა უწინა.
საბრალოს გულის წადილმა
ზეცამდე როდი უწვდინა!

ვაჟა-ფშაველა.

(შემდეგი იქნება)

რაობაა. გლეხნი გულ-მოდგინედ სცდილობენ გაერთიანებას და ამხანაგობა-საზოგადოებების დაარსებას თავიანთ ინტერესების დასაცველად. ზედი-ზედ გალიციაში გლეხთა ორი მიტინგი გაიმართა. მეორე მიტინგზედ, რომელიც კოლომინში მოხდა, დ—რმა ტრილევსკიმ სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ გალიციაში გლეხთა სამ მეოთხედს აღარ ძალ-უძს ხვნა-თესვით თავის გამოკვება, იმდენად მცირე მიწის პატრონნი შეიქმნენ გლეხნი. სამუშაო ფასიც მებატონეთა ადგილებზედ მეტად მცირეა. აი, ამისთვის არის საჭირო, ტრილევსკის აზრით, სოფლის მუშათა გაერთიანება, მათი ორგანიზაცია. სოფლის მუშათა ორგანიზაციებმა ცხარე ბრძოლა უნდა გაუმართონ მემამულეთ, რათა კარგი სამუშაო ფასი ეძლეოდეთო. მიტინგმა შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: 1) ყველა სოფლის გლეხებმა უნდა აარჩიონ თავიანთ შორის სამუშაო ფასის დამწესებელი კომიტეტი. კომიტეტს ხუთი წევრი ეყოლება, რომელთაგან ორი სამაზრო კომიტეტის წევრებადაც იქმნებიან; 2) არც ერთს გლეხს არ შეუძლიან დაუქირავდეს მემამულეს უამკომიტეტოდ, რომელიც აწესებს მთელის სოფლისათვის სამუშაო ფასს; 3) ბრალმდებელს უნდა ეცნობოს ყოველივე ბოროტ-მოქმედება მუშების დამქირავებელთა. ხშირად მემამულენი წინდა-წინ ფულს ურიგებენ მუშებს და ქირაობენ იმ სამუშაოებისათვის, რომელიც რამდენისამე თვის შემდეგ უნდა მოხდეს. ასეთი საქციელი მევახშეობად უნდა იქმნას ჩათვლილი; 4) თუ მშვიდობიანის გზით ვერ მოხერხდა მემამულეთა მიერ სოფლის მუშათა ექსპლოატაცია, სამაზრო კომიტეტმა ყოველი ღონე უნდა იღონოს უსამართლობის მოსასპობად, მაგრამ კომიტეტი კანონიერ საშუალებებს არ უნდა გადასცდეს. მიტინგმა ამას გარდა მოსთხოვა მთავრობას: 1) დაარსებულ იქმნას სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორთა ინსტიტუტი. ამ ინსპექტორებს ისეთივე საქმენი ჩაებარება, როგორიც საქარხნო ინსპექტორებს აქვთ; 2) სავალდებულო გაჰხადონ სოფლის მუშათა კასსებში მონაწილეობა და უბედურ შემთხვევათაგან მათი დაზღვევა.

საფრანგეთი. მეორე არჩევანებისათვის ძალიან გულ-მოდგინეთ ემზადებიან რესპუბლიკელნი. როგორც ვუწყით, 175 კაცი ხელ-ახლა უნდა აარჩიონ. რესპუბლიკელ დასებს გადაუწყვეტიათ, ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ და თავ-თავიანთი კანდიდატები აღარ წამოაყენონ, რომ შეძლება არ მისცენ რეაქციონერებს გამარჯვებისა. გაზეთებში უკვე დაიბეჭდა სია იმ კანდიდატებისა, რომელთაც ყველა რესპუბლიკელმა, მიმართულების განურჩევლად, მხარი უნდა დაუჭიროს. ასეთის ტაქტიკის წყალობით ეჭვი აღარავისა აქვს, რომ არჩეულ იქმნებიან ის რესპუბლიკელნი, რომელნიც პირველ არჩევნებზედ ვერ გავიდნენ, სახელდობრ, მილიერანი, ვივიანი, ბრისონი, რუანე, ალლემანი და სხვანი.

— ვალდეკ-რუსოს მართლაც გადაუწყვეტია სამსახურიდგან გასვლა. ამბობენ, ქაღალდს თანამდებობიდგან გადადგომის შესახებ 19 მაისს გადასცემს რესპუბლიკის პრეზიდენტსაო. მანამდე პალატას მოსთხოვს მთავრობისადმი ნდობის გამოცხადებას, რათა ყველამ, განსაკუთრებით-კი რეაქციონერებმა, გაიგონ, რომ მინისტრ-პრეზიდენტი დამარცხებული-კი არა, გამარჯვებული მიდის.

იაპონია. ბარონ სიბუსავის მეცადინეობით იაპონიაში დაარსდა ჩინეთ-კორეის საზოგადოება, რომელსაც ჩინეთისა და კორეის შესწავლა აქვს აზრად. საზოგადოებამ უნდა შეისწავლოს ჩინელთა და კორეელთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ხასიათი, ვაჭრობა-მრეწველობა ჩინეთ-კორეაში და სხვა. იაპონელნი ყოველის ღონითა სცდილობენ ჩინელებთან დაახლოვებას. ამ საქმეში მთავრობაც დიდს მეცადინეობას იჩენს. 1903 წელს იაპონიაში გამოფენა უნდა გაიმართოს. ამ გამოფენაზედ იაპონიის მთავრობას უკვე მოუწვევია გავლენიანი ჩინელნი. ხარჯს მთავრობა კისრულობს. ამისათვის იაპონიას 50,000 მანეთი გადაუდვია.

სამხრეთ-აფრიკის ომი. სამხრეთ-აფრიკიდგან დაბრუნდა ერთი გერმანელი აფიცერი, რომელიც ბურებთან ერთად ომობდა; თავისს ვრცელს მოხსენებაში იგი დაწვრილებით მოგვითხრობს ბურ-ინგლისელთა სამხედრო მდგომარეობას. მრავალის საბუთებით ამტკიცებს, რომ, თუ მშვიდობიანობა არ ჩამოვარდა, მომავალ ზამთარს ინგლისის მხედრობას საბოლოო კატასტროფა მოელისო. ინგლისის ძლიერებას ლამის ილაჯი გაუწყდეს, ორ წლი-ნახევრის თავგანწირვით ბრძოლამ ინგლისის ძალა რკინის გზის ლიანდაგს ვერ გააცილა. მათ სრულებით ხელი აიღეს ტრანსვაალის ჩრდილოეთზედ და აღმოსავლეთზედ. ბურები ჯერ თითქმის სრული ბატონები არიან მთელის მხარისა; გარდა ამისა, ისინი თან და თან იბრუნებენ რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ მდებარე ქალაქებს.

კაპის ახალშენში ინგლისელები იმდენად შევიწროვებულნი არიან, რომ კაფრები მიიშველიეს. ბურებს დღემდე 20,000 მეომარი ჰყავთ.

ავტორი არ ეთანხმება პრუსიის უფროს შტაბის პოდპოლკოვნიკ ფონ-ლინდენაუს აზრს, რომ „ბურები, როგორც განუსწავლელი ჯარი, უეჭველად უნდა დისძლიოს ინგლისის გაწვრთნილმა მხედრობამ“. მაშველი ჯარი აღარ მოდის, ომის ველზედ მყოფნი-კი სრულებით ღონე მიხდილნი არიან.

ინგლისელებს კარგათ ესმით თავისი ცუდი მდგომარეობა. სცდილობენ, არ შეიმჩნიონ ესა, მაგრამ ამასთან ბურებზედ უფრო მეტად არიან მოწადინებულნი ომის დასრულებას.

— „რეიტერის სააგენტოს“ ატყობინებენ პრეტორიიდგან: „ბურთა რწმუნებულნი გულ-მოდგინედ დაეძებენ მეომარ ბურებს, რათა იმათთან ერთად გადასწყვიტონ დამორჩილების ან ომის განგრძობის საქმე. რწმუნებულნი ტრანსვაალისა და ორანჟეს ოლქებში გაიფანტნენ. ზოგი აქა ჰმართავს კრებებს, ზოგი იქა. ლუი ბოტა სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში დადის, ლუკა მეიერი—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ოლქებში, რეიცი—ჩრდილოეთისაში, შტეინი და დელარეი ორანჟეს რესპუბლიკაში მოქმედებენ. 2 მაისს საზოგადო კრება ექმნებათ წინამძღოლებს ზავის პირობათა შესახებ მოსალაპარაკებლად. საქმის გადაწყვეტის შემდეგ დელეგატები პრეტორიაში წავლენ ლორდ კიტჩენერთან.

ოსმალეთი. გაზეთ „Armenie“-ში მოთავსებულია წერილი ახალგაზრდა ოსმალთა დასის ცნობილ მოღვაწის—ჰალილ-ჰანემისა, რომელიც ამ ჟამად პარიზში სცხოვრობს და დიდი წინააღმდეგია აბდულ-ჰამიდის რეჟიმისა. რადგან ამას წინად „მეშვერეთის“ რედაქტორს ახმედ-რიზა-ბეის და სომეხთა სარეფორმო დასის მეთაურთა შორის განხეთქილება ჩამოვარდა, ილდიზ-კიოსკში იმედი ჰქონდათ ჰალილ-ჰანემისა და რიზა-ბეის სტამბოლში დაბრუნებისა, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა.

ჩერაზის, „Armenie“-ს რედაქტორის, მიმართ წერილში ჰალილ-ჰანემი შემდეგს ამბობს:

„თუ მე დღეს მტერი ვარ ევროპის კაპიტალიზმისა, ანუ უკეთა ვსთქვათ, მერკანტილიზმისა, მხოლოდ იმისათვის, რომ ამან ძალიან შეუწყო ხელი ჩვენზედ მოვლენილ უბედურებებს. აგერ 25—30 წელიწადია, რაც ის ხელს უშლის ოსმალეთში რეფორმების შემოღებას და მხარს უჭერს ტირანიას. თვით უდიდესი სახელმწიფოების ჩარევა სომეხთა ამოჟლეტის საქმესა და ყველა ჩვენს უბედურებაში მხოლოდ იმ ინტერესით აიხსნება, რომელიც ამ სახელმწიფოებსა აქვთ ოსმალეთში. ჩვენ მსხვერპლი შევიქენით მძვინვარე მერკანტილიზმისა, რომელიც უკანასკნელ სისხლის წვეთს გვიშრობს. ჩვენი იღბალი უსაზიზღრეს რეჟიმის ანაბარად დასტოვეს. ჩემი თხზულების „hes sultans Ottomans“-ის ყოველ ფურცელზედ ვჰგმობ ფანატიზმს და ვაძაგებ მკვლელთა და სულთა-მხუთავთა, შურითა და სიბრალულით ვიგონებ ჯვაროსნობის ხანას, როდესაც ომის კეთილშობილ საბუთს სარწმუნოების დაცვა წარმოადგენდა. ეხლა-კი რასა ვხედავთ? რასაკვირველია, უპირატესობას არ ვაძლევ მკვლელთა წინაშე სპეკულიანტებს. პირველნი ზიზღისა და სიმძულვარის ღირსნი არიან, მეორენი-კი მეტად თუ ნაკლებად მკაცრ კრიტიკას იწვევენ. ასეა თუ ისე, ეს უცხო სპეკულიანტები ქონებრივად და ზნეობრივად გვლუპავენ ჩვენ. იგინი თავის ინტერესებს მისდევენ და სრულებით ივიწყებენ იმ მოვალეობას, რომელსაც მათ სიმართლე და კაცთმოყვარეობა აკისრებთ.

მეოთხედ საუკუნის განმავლობაში ევროპის დიპლომატია ყველაფერში ეთანხმებოდა ხონთქარსა და მთავრობას, ოღონდ-კი მათ ხელი არ შეეშალათ უცხოელთა ინტერესებისათვის ოსმალეთში. ამ ოინებმა ჩვენ ბევრი სისხლი დაგვანთხევინა. გაიხსენეთ ერთ დიდ სახელმწიფოს მინისტრი, რომელიც არხეინად აბოლებდა პაპიროსს სომეხთა ამოჟლეტის შესახებ ბაასის დროს და გულ-გრილად ბრძანებდა: „ხონთქარი თავის სახლში პატრონია და იმას იზამს, რაცა ჰსურსო!“ გაიხსენეთ ჰანოტოს სიტყვები, რომელიც საფრანგეთის ტრიბუნიდგან იყო წარმოთქმული; ჰანოტო აცხადებდა, რომ ხონთქარი „მამაა თავის ქვეშევრდომთაო“. გაიხსენეთ ბ-ნ რიბოს სამსახური, რომელიც იმავე ხონთქარს გაუწია მან. ვილჰელმ II მეგობრობა! ვგონებ, რომ ყოველივე ეს სხვა არა არი-რა, გარდა მერკანტილიზმის გამოჩენისა. აი, მათ მიგვიყვანეს ეხლანდელ სავალალო და აუტანელ მდგომარეობამდე.

„ოსმალეთში ყველა სახელმწიფო თავის სასარგებლო საქმეს დაეძებს: ზოგს ნავთ-სადგური აქვს, ზოგს რკინის გზა, ზოგს კიდევ რა. ერთს საწარმოებლად მთა-მადნები გადაექცა, მეორეს მონოპოლია მრეწველობის ამა თუ იმ დარგისა და სხვა. ხელ-ცარიელი არავინ გაუსტუმრებიათ... არა ჩვეულებრივი და საკვირველი საქმე მოხდა: არც ერთი მკვლელი არ დაისაჯა, ამასთან უდიდესი მკვლელიც (სულთანი) უწინდელებრ ბატონობს!.. ასეთ პირობებში განა შემიძლიან თანავუგრძნო უცხო-ქვეყნელ სპეკულიანტებს, რომელნიც ჩვენს დიდებასა და სახელზედ ქონებას იძენენ?!“.

თეატრი და ხელოვნება.

მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 28 აპრილს, ქართული დასი წარმოადგენს დრამას «ურიელ აკოსტას». მთავარ როლს შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი. იმის გარდა მონაწილეობას იღებენ ქ-ნი კარგარეთელი, ბ-ნნი გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი და სხვანი.

⁂

ქართულ თეატრში სამშაბათს, 30 აპრილს, სახალხო თეატრის ქართულ სექციის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება კომედია „კრეჩინსკის ქორწინება“ და ვოდევილი «დედის ერთა». რასპლიუევის როლს „კრეჩინსკის ქორწინებაში“ შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ხოლო კრეჩინსკისას კ. მესხი. ამ წარმოდგენაში სახალხო თეატრის ზოგიერთი სცენის-მოყვარენი იღებენ მონაწილეობას.

წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მე-79 ნომერში ბ-ნი ქეიშვილი ჩემდამი საპასუხო წერილში ამბობს, ვითომც მე გამგეობის წევრობაზედ თავის დანებება მაიძულეს ბ-ნმა კიკვაძემ, ურატაძემ და მხეიძემ, რაიცა ყოვლსავე სიმართლეს მოკლებულია. არც კიკვაძეს, არც ურატაძეს და არც მხეიძეს ჩემთვის არ უთხრობია, რომ გამგეობის წევრობისათვის თავი დამენებებია. ეს იყო ჩემი საკუთარი სურვილი, რადგან 20 იანვრის კრება უკანონო იყო და არ მსურდა და არც მსურს ვიყო არჩეული უკანონო კრების მიერ. აი ეს, არის მიზეზი ჩემის წერილობით უარის განცხადებისა.

მე თვითონ ვიყავი იმ 20 იანვრის კრებაზედ, რამდენჯერმე მთხოვეს, მაგრამ სულ უარს ვამბობდი; კიდევაც გავშორდი კრებას, მომნახეს და ხელ მოკიდებული შემიყვანეს დარბაზში, სადაც ხელ-ახლა მთხოვა კრებამ, მაგრამ მე-კი სულ უარს ვამბობდი. (მადლობა ღმერთს, რომ ამის მოწმე მთელი კრებაა) უკანასკნელად გავშორდი კრებას და კიდევაც წამოვედი სახლში, ხოლო კრებამ თურმე მაინც, წინააღმდეგ ჩემის სურვილისა, ამირჩია გამგეობის წევრად დაბა ლანჩხუთში, რაიც ბ-ნმა ქეიშვილმა წერილობით შემატყობინა და რის გამოც მე უარის ბარათი გავუგზავნე. ეს იყო და ეს.

რაც შეეხება იმას, ვითომც ბ-ნს ქეიშვილს 22 მარტს ჩემის თხოვნით დაენიშნოს კერძო კრება ლანჩხუთში, ეს ძნელი დასაჯერებელია, მაშინ როდესაც მესამედი ნაწილი ამხანაგობის წევრთა რიცხვისა ორი თვე სთხოვდა ბ-ნს ქეიშვილს კრების დანიშვნას და არ დაუნიშნავს,—როგორ დავიჯეროთ, ვითომც მარტო ჩემის თხოვნით დაენიშნოს 22 მარტს კერძო კრება. ის-კი სრული სიმართლეა, რომ ბ-ნმა ქეიშვილმა ბევრი მთხოვა, რომ დავრჩენილიყავი გამგეობის წევრად, მაგრამ მე ვერ შევასრულე მისი თხოვნა.

კვლავ ვიმეორებ, რომ არავის არავითარი წილი არ უძევს ჩემს უარის თქმაზედ გამგეობის წევრობაზედ. დასასრულ მადლობას ვწირავთ ბ-ნ ქეიშვილს, რომ ამდენ ყალბ წერილებში ისიც არ ბრძანა, რომ კანდელაკმა თავისი უარის განცხადება გამგეობის წევრობაზედ უკან დაიბრუნაო.

ვლადიმერ კონსტანტინეს ძე კანდელაკი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

26 აპრილი.

ბაქო. შაჰი მობრძანდა ამალით, რომელშიაც 34 კაცია. ვოგზალზედ დაჰხვდა გენერალ-ლეიტენანტი ფრეზე. შაჰმა მიიღო საპატიო ყარაული და დეპუტაციები საპატიო მოსლემანთა და ქალაქისა.

პარიჟი. რაკი მოახლოვდა პრეზიდენტის ლუბეს წასვლის ვადა რუსეთში, ელჩი თავადი ურუსოვი უკვე გაემართა პეტერბურგს.

ჰონკონგი. პეჩილიის ოლქში მოძრაობის შესახებ კარგი ამბავი მოვიდა. საზოგადო აჯანყება არ არის უცხოელთა სამძულვარო. ზოგიერთგან ძალადობა იქმნა ხმარებული მისიონერთა წინააღმდეგ, მაგრამ იქიდგან მოსული ამბები თავისუფალი არ იყო გაზვიადებისაგან.

პარიჟი. ზღვათა მინისტრმა მიიღო დეპეშა კრეისერის „სიუშეს“ კომანდირისაგან „Port de Franse“-დან 8 მაისის თარიღით (25 აპრილს): „სენტ-პიერიდან დავბრუნდი. ქალაქი სრულიად დაქცეულია ცეცხლის ზვავითა. ვგონებ, რომ მთლად მკვიდრნი ამოწყვეტილნი არიან. ოციოდე, ოც-და-ათი კაცი, რომელნიც ცოცხალნი გადარჩნენ, თან წამოვიყვანე. რაც ნავთ-სადგურში გემები იყო, ყველა გაანადგურა ცეცხლმა. ფრქვევა ცეცხლისა მთიდან ჯერაც არ შეწყვეტილა.

ბუდაპეშტი. უნგრთა დელეგაციის საბიუჯეტო კომისიაში გოლუხოვსკიმ სთქვა კრამარჟის შენიშვნის შესახებ: მართალია, მარტო ოდენ დაცვა Status quo-სი არ შეიძლება იყოს საგანი პოლიტიკისა განუსაზღვრელ დროს განმავლობაში. უნდა ვეცადოთ დავიცვათ არსებული წეს-წყობილება, ვიდრე შესაძლოა. ხოლო თუ გაჩნდება ისეთი გარემოებანი, რომელიც გამოიწვევს სხვა გვარ პოლიტიკის საჭიროებას, მაშინ უნდა ვეცადოთ, რომ ახალი ვითარება მოწესრიგებულ იქმნას მშვიდობიანის გზით. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ჩვენი დაახლოვებული ურთიერთობა რუსეთთან შეგვაძლებინებს ისე გადავწყვიტოთ საქმე, როგორც უფრო სასიკეთო იქნება ორისავე სახელმწიფოსათვის.

სარატოვი. დაიწყო პირველი საავრონომო ბჭობა საგუბერნიო საერობო გამგეობასთან.

მოსკოვი. საგუბერნიო ერობა ჰმართავს გოგოლის სახსოვრად ოც და ათს წიგნთსაცავს, ხოლო ჟუკოვსკის სახსოვრად აარსებს სტიპენდიებს გლეხთა ქალებისათვის დედათა საოსტატო სემინარიაში.

პეტერბურგი. რეჩიცკის საერო სამკურნალოსთან იმართება სანატორია ჭლექიანთათვის. შემოწირულია 150,000 მანეთი.

ირბიტი. მოვიდნენ პირველი გემები. მოიტანეს პური სათესლედ დასარიგებლად.

27 აპრილი.

პეკინი. ეპისკოპოზს ანცერს ებოძა ნიშანი წარჩინებისა პირველის ხარისხისა იმასათვის, რომ იცავდა კეთილ განწყობილებას ქრისტიან ჩინელებისა და სხვა სარწმუნოების ჩინელებს შორის.

პარიჟი. როგორც გაზეთები იუწყებიან, სენპიერის ქალაქში განადგურების წინ ოცდა ათი ათასი სული სცხოვრობდა.

რომი. ოფიციალური გაზეთი „ტრიბუნა“ გლუხოვსკის სიტყვის თაობაზედ შენიშნავს, რომ კავშირი არსებითად იგივე დარჩება, შესაძლებელია მხოლოდ შეიცვალოს ცოტად ტექსტი.

პეკინი. ქვრივმა იმპერატრიცამ მიიღო სადარბაზოდ მისული ვიცე-ადმირალი სკრიდლოვი ამალით.

ბაქო. დღეს გამართული იყო საპარადო სადილი, რომელზედაც წარმოთქმული იყო სადღეგრძელოები მათის უდიდებულესობისა ხელმწიფე იმპერატორისი და სპარსეთის შაჰისა. ქალაქში დიდი მოძრაობაა, საუცხოვო ჩირაღდანია.

ოდესა. ფრანგების დეპუტაცია მიდის პეტერბურგს 2 მაისს პრეზიდენტის ლუბესათვის ადრესის მისართმევათ. გადაწყვეტილია მალოფონტანის გზას საფრანგეთის ბულვარი დაერქვას. საქალაქო საქმეთა საკრებულომ ნება დართო ქალაქს იშუამდგომლოს ათი მილიონის სესხის ასაღებად. აქაურის ცეცხლის დამზღვევის საზოგადოებათა წარმომადგენელნი მართავენ რაზმს, რომელმაც უნდა გადაარჩინოს და შეინახოს მოძრავი ქონება, სახლში ცეცხლის გაჩენის დროს.

სოხუმი. პროფესორს ხარინცევს, ფოთის ნავთსადგურის ამშენებელს, რომელიც ამზადებს სოხუმის ნავთსადგურის პროექტს, სოხუმის საბჭოს ხმოსნებმა მისცეს თანხმობა, რომ დაუთმობენ 50 დესატინას ქალაქის მიწას ნავთსადგურის საჭიროებისათვის, ას თუმნად დესეტინას და თითო მანეთად ერთს კუბს ქვას ქალაქის ქვის მადნებიდგან.

პარიჟი. ახალშენთა მინისტრმა მიიღო ორი დეპეშა, რომ ცეცხლის წვიმამ გაანადგურა სენ-პიერის ქალაქი და მის ნავთსადგურში მდგომი ხომალდები. გემმა „სუშე“-მ რამდენიმე დაჭრილის მეტი ვერ წაიყვანა. საგონებელია, რომ მცხოვრებნი ყველანი დაიღუპნენ. კუნძულს მარტინიკას და დანარჩენ ქვეყანას შორის კავშირი მოისპო, ზღვის ტელეგრაფის გაწყვეტის გამო.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება, რომ ჯავშნიანი მატარებელი, პრეტორიიდგან პიტერსბურგში მიმავალი, რელსებიდგან გადავარდა, ერთი პორუჩიკი და ათი სალდათი მოკლულია.

პეტერბურგის ბირჟა, 26 აპრილი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,25
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	37,67½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96¾ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	98¾ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . .	94¾ წვ გაყ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	471½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	361 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	299½ გაყიდ.
4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	88¾ წვ. გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	90 გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ...	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	438½ წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	177 “
ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	—

განცხადება

ქუთაისის მილის წყლისა და ელექტრონის ტრამვაის ამხანაგობისაგან. გამგეობა ქუთაისის მილის წყლისა და ელექტრონის ტრამვაის ამხანაგობისა, რაკი მოახლოვდა ვადა (1 მაისი ამ წლისა) საჯერო შემოსატანისა ამხანაგობის I და II სერიის წინასწარ საპაიო ბარათებისათვის, ამით იუწყება საყოველთაო საცნობლად, რომ საჯერო შემოსატანი მიიღება:

ქუთაისში—ამხანაგობის კანტორაში და აგრეთვე ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში, ხოლო

ტფილისში—სამეურნეო ბანკში.

ნამდვილი და წინასწარი (III სერიისა) საპაიო ბარათები ამხანაგობისა შეიძლება შეიძინოს მსურველმა ქუთაისში—1) ამხანაგობის კანტორაში, 2) საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობისაგან, 3) მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკის კასირის თ. ი. ა. მიქელაძისაგან და 4) შავის ქვის მრეწველთა კრების საბჭოს მდივნის ა. თ. ნანეიშვილისაგან; ტფილისში 1) სამეურნეო ბანკის გამგეობისაგან და 2) ამხანაგობის გამგეობის წევრთაგან: თ. რ. თ. ამირეჯიბისა, ა. ს. ბაბოვისა და თ. გრ. ნ. დიასამიძისაგან; ბათუმში—საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობისაგან; ფოთში—საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობისაგან და ჭიათურაში—შავის ქვის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობისაგან. (3—6.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით იუწყება საყოველთაოდ საცნობლად, რომ ქალაქ ტფილისში ცხენთა იარმუკის დებულების თანახმად, რომელიც დამტკიცებულია ბ-ნ მთავარ-მართებლის მიერ, ამ წლის 5 მაისიდგან იწყება ცხენთა იარმუკა. იარმუკა გასტანს მაისის 18-მდე. ადგილი ზემორე აღნიშნულ იარმუკისათვის დანიშნულია დიდუბეში კავკასიის ცხენთა მოშენების საზოგადოების იპპოდრომზედ, ანუ ყაბახზედ. (3—6.—1)

„GRAND PRIX“ PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К-о

„Порфюмерія Золотая Нива“

О грузинскомъ и русскомъ АЛФАВИТАХЪ,

წერილი იაკობ გოგებაშვილისა, დაიბეჭდა ცალკე წიგნაკად და ისყიდება თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში და სხვაგანაც; ქუთაისში ბეჟანეიშვილთან. გაიგზავნა აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქებსა და დაბებშიც. ფასი ყველგან ერთი აბაზი. (3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ 27 апр. 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.